პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 108 (10194) | კვირა, 8 მაისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ლენინის ორდენოსან და შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა, მასწავლებელთა, სტუდენტთა და თანამშრომელთა კოლექტივს უნივერსიტეტის დაარსების მე-200 წლისთავს.

მოსკოვის უნივერსიტეტი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა მეცნიერული და პედაგოგიური კადრების მომზადებაში, სამამულო და მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში უნივერსიტეტმა გამოზარდა ნიჭიერ სპეციალისტთა და მეცნიერთა ახალი თაობა, რომელნიც ნაყოფიერად მუშაობენ საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში.

ახლანდელ პირობებში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ჩვენი ქვეყნის ყველა უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა ამზადონ კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები, აღზრდილნი მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების სულისკვეთებით, რომლებსაც ექნებათ თანამედროვე მეცნიერული ცოდნა და ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჰორიზონტი, შეეძლებათ გადაწყვიტონ შემდგომი ტექნიკური და კულტურული პროგრესის ამოცანები ჩვენს ქვეყანაში, განუხრელად გაადიდონ საბჭოთა მეცნიერების როლი სახალხო მეურნეობის განვითარებაში, დაუცხრომლად იზრძოლონ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უსურვებენ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივს ახალ წარმატებებს ამ კეთილშობილური ამოცანების გადაწყვეტაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დიადი გამარჯვება

ათი წლის წინათ, 1945 წლის 9 მაისს, ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი გერმანიის იმპერიალიზმისა და მთელი მსოფლიოს რეაქციის შავბნელი ძალების წინააღმდეგ.

გამარჯვების ამ ისტორიულ დღეს დიდი ბელადი და მთავარსარდალი ი. ბ. სტალინი ხალხისადმი მიმართვაში ამბობდა:

„დიდ მსხვერპლს, რაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გავიღეთ, აუოცახელ გაჭირვებასა და ტანჯვას, რაც ჩვენმა ხალხმა ომის მსვლელობაში გადაიტანა, დაძაბულ შრომას ზურგში და ფრონტზე, რაც სამშობლოს საკურთხეველზე მივიტანეთ — ამაოდ არ ჩაუვლია და მტერზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა".

საბჭოთა ხალხის გამარჯვება დიდ სამამულო ომში იყო კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გამარჯვება. ფაშისტ დამპყრობლებთან საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი კომუნისტური პარტია იყო. მან მოახდინა ჩვენი ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი ძალების მობილიზაცია ვერაგ მტერთან საბრძოლველად. პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა ამ ომიდან გამოვიდა კიდევ უფრო მტკიცე და ძლიერი, განუზომლად ამაღლდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში ჩვენი ქვეყანა ერთ მთლიან სამხედრო ბანაკად გადაიქცა. ზურგისა და ფრონტის ერთიანობამ, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ, ცხოველმყოფელმა საბჭოთა პატრიოტიზმმა, ხალხთა დიადმა ურღვევმა მეგობრობამ გადაწყვიტა ჩვენი ისტორიული გამარჯვების წარმატება.

საბჭოთა არმიის მეომრები, რომელთა რიგებში მოძმე ხალხთა შვილების მხარდამხარ მამაცურად იბრძოდნენ ქართველი ხალხის სახელოვანი შვილებიც, მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში გმირობისა და ვაჟკაცობის, სიმტკიცისა და გამბედაობის მაგალითებს გვიჩვენებდნენ. ჩვენი ხალხი სამარადისოდ ინახავს გულში და პატივსა სცემს სოციალისტური სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაცემულ გმირთა ხსოვნას.

საბჭოთა ხალხს შედარებით ნაკლები მსხვერპლის გაღება მოუხდებოდა მეორე მსოფლიო ომში, რომ ჩვენს მოკავშირეებს — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს პატიოსნად შეესრულებინათ თავიანთი სამოკავშირეო ვალდებულებანი — თავის დროზე გაეხსნათ მეორე ფრონტი ევროპაში. ინგლისისა და ამერიკის მმართველი წრეები განზრახ აჭიანურებდნენ მეორე ფრონტის გახსნას, ცდილობდნენ სისხლისაგან დაეცალათ საბჭოთა კავშირი, ხოლო შემდეგ მისთვის ეკარნახებინათ თავისი ნება. მაგრამ ამერიკელ-ინგლისელ ავანტურისტებს იმედები არ გაუმართლდათ. ომის უკვე მეორე წელს ლიკვიდირებულ იქნა მტრის არმიის სამხედრო ტექნიკის რაოდენობრივი უპირატესობა. სტალინგრადთან დიდ ბრძოლებში საბჭოთა არმია გარსშემოერტყა მტრის 330-ათასიან დაჯგუფებას და მოსპო იგი. ეს იყო ომის მსვლელობაში ძირეული გარდატეხის დასაწყისი. როგორც ცნობილია, მას მოჰყვა კურსკთან ბრძოლაში საბჭოთა არმიის ისტორიული გამარჯვება. 1944 წელს განხორციელდა ათი მძლავრი დარტყმა მტრის წინააღმდეგ. ამ ბრწყინვალე გამარჯვებებმა საბოლოოდ გადაწყვიტა მეორე მსოფლიო ომის ბედი. ასეთ ვითარებაში არსებითად დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას, რადგან უკვე ნათელი იყო, რომ საბჭოთა არმიას მარტო შეეძლო ჰიტლერული სამხედრო მანქანის საბოლოოდ დამსხვრევა და სასიკვდილოდ დაჭრილი მტრის მის საკუთარ ბუნაგშივე განადგურება. ეს ასეც მოხდა.

დაცემულ ბერლინზე, ტყვიებითა და ყუმბარებით დაცხრილული რაიხსტაგის გუმბათზე 1945 წლის 30 აპრილს დიდი რუსი ხალხის შვილმა ეგოროვმა და ქართველმა ქანთარიამ აფრიალეს გამარჯვების წითელი დროშა. ფაშისტურმა გერმანიამ სრული კაპიტულაცია მოახდინა.

დიდ სამამულო ომში სახელოვან გამარჯვებათა შედეგად საბჭოთა ხალხმა, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა იხსნეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, განამტკიცეს საბჭოთა საზღვრების უშიშროება დასავლეთსა და აღმოსავლეთში, უზრუნველყვეს ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანი მშენებლობის შესაძლებლობა, ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლება მოუტანეს ევროპის ხალხებს, დაღუპვას გადაარჩინეს მსოფლიო ცივილიზაცია.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად კაპიტალიზმის ფრონტი უფრო შესუსტდა. შეიქმნა სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაკი. წარმოიშვნენ და განვითარდნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას.

საბჭოთა ხალხი გამარჯვების დღეს ხვდება სერიოზული წარმატებებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ფაშისტ დამპყრობთა განადგურების შემდეგ განვლილი ათი წლის მანძილზე საბჭოთა ადამიანებმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით არა მარტო მოიშუშეს ომით მიყენებული მძიმე ჭრილობები, არამედ უდიდეს წარმატებებსაც მიაღწიეს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფრონტზე.

საბჭოთა კავშირი მიდის თავისი ძალების შემდგომი გაფურჩქვნისა და განვითარების გზით, კომუნიზმის მშენებლობის გზით. ჩვენი ხალხი მტკიცედ ახორციელებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების თანმიმდევრულ პოლიტიკას, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას, საერთაშორისო ძაძაბულობის შენელებისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას. მაგრამ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია, რომლებიც ითვალისწინებენ ახალი სამხედრო დაჯგუფების შექმნას დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების მონაწილეობით, ხელს უშლის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მოითხოვს საბჭოთა ხალხისაგან დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას თავისი უშიშროების უზრუნველსაყოფად და საყოველთაო მშვიდობის შესანარჩუნებლად. საბჭოთა ხალხი ყველაფერს გააკეთებს ამ მიზნის მისაღწევად.

საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის ხადარაჯოზე, საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე ფხიზლად დგანან ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალები. ისინი აღჭურვილი არიან ყველა სახეობის თანამედროვე იარაღით. საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრები, რომლებსაც დიდი სამამულო ომის მდიდარი გამოცდილება აქვთ, შეძლებენ საკადრისი პასუხი გასცენ ყოველ აგრესორს, რომელიც გაბედავს თავს დაესხას ჩვენს ქვეყანას.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევ დასაყრდენს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და გამარჯვებისათვის ბრძოლებში!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს!

ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

მის აღმატებულებას გატონ ბულგანინს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

გმადლობთ, თქვენო აღმატებულებავ, მოლოცვისა და კეთილი სურვილებისათვის, რაც თქვენ კეთილინებეთ და გამომგზავნეთ გერმანული ოკუპაციისაგან ნორვეგიის განთავისუფლების მეათე წლისთავის გამო.

ნორვეგიელი ხალხი მადლობის გრძნობით იგონებს იმ წვლილს, რომელიც საბჭოთა არმიამ შეიტანა ნორვეგიის ჩრდილოეთი რაიონების განთავისუფლებაში, და დიდ რუს ერთან ძმობას ბრძოლაში.

ეინარ გერჰარდსენი,

ნორვეგიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის 26 მაისის ხელშეკრულების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1955 წლის 7 მაისს განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინება, რომ გაუქმდეს „ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შეერთებულ სამეფოს შორის ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მისი თანამზრახველების წინააღმდეგ ომში კავშირისა და ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“, რომელიც დაიდო 1942 წლის 26 მაისს.

აღნიშნული ხელშეკრულების გაუქმების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა.

ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დ. ტ. შეპილოვმა განაცხადა, რომ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა მოიწონეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება და ურჩევენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გააუქმოს ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის ხელშეკრულება.

განიხილა რა ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება და კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების დასკვნა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა გააუქმოს, როგორც ძალადაკარგული, „ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდ ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მისი თანამზრახველების წინააღმდეგ ომში კავშირისა და ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“, რომელიც დაიდო 1942 წლის 26 მაისს, და მიიღო შესაბამისი ბრძანებულება.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის 10 დეკემბრის ხელშეკრულების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1955 წლის 7 მაისს განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინება, რომ გაუქმდეს „ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ“, რომელიც დაიდო 1944 წლის 10 დეკემბერს.

აღნიშნული ხელშეკრულების გაუქმების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა.

კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მ. ა. სუსლოვმა განაცხადა, რომ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა მოიწონეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება და ურჩევენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გააუქმოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის ხელშეკრულება.

განიხილა რა ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება და კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების დასკვნა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა გააუქმოს, როგორც ძალადაკარგული, „ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ“, რომელიც დაიდო 1944 წლის 10 დეკემბერს, და მიიღო შესაბამისი ბრძანებულება.

ქვემოთ ქვეყნდება ბრძანებულებანი, რომლებიც მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის 26 მაისის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ინგლისმა დაამტკიცა პარიზის 1954 წლის 23 ოქტომბრის შეთანხმებანი, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას, დასავლეთ ევროპის არმიის შექმნას და რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის შეყვანას სამხედრო დაჯგუფებებში — დასავლეთ ევროპის კავშირსა და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში. ამასთან ინგლისის მთავრობა გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის ერთ-ერთი მთავარი შთამგონებელი და განმახორციელებელია.

ინგლისის მთავრობის ასეთი მოქმედება ძირეულად ეწინააღმდეგება ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის ხელშეკრულების ძირითად მიზნებს, ხელშეკრულებისა, რომელიც დაიდო ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ საბჭოთა და ინგლისელი ხალხების ერთობლივი მძიმე ბრძოლის პერიოდში. ამ ხელშეკრულებით, რომელიც ნაკარნახევი იყო მისწრაფებით ორივე ხალხის მჭიდრო თანამშრომლობისადმი, ინგლისმა და საბჭოთა კავშირმა ვალდებულება იკისრეს ერთობლივად ეხმარათ ყველა ღონისძიება, რათა თავიდან აეცილებინათ გერმანიის ახალი აგრესიის შესაძლებლობა, არ დაედოთ რაიმე კავშირი და მონაწილეობა არ მიეღოთ რაიმე კოალიციაში, რომელიც მიმართული იქნებოდა ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ.

ხელშეკრულებაში ნათქვამია:

„1) ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები აცხადებენ, რომ მათ სურვილი აქვთ გაერთიანდნენ სხვა თანამოაზრე სახელმწიფოებთან ომისშემდგომ პერიოდში საერთო მოქმედების შესახებ წინადადებათა მიღებაში მშვიდობიანობის დაცვისა და აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით.

2) ვიდრე ასეთი წინადადებანი მოწონებული იქნებოდეს, ისინი საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ მიიღებენ მათს უფლებაში არსებულ ყოველგვარ ზომებს, რათა შეუძლებელი გახდეს აგრესიის გამეორება და მშვიდობის დარღვევა გერმანიის ან მასთან ევროპაში აგრესიის აქტებით დაკავშირებული რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრივ“ (ხელშეკრულების მე-3 მუხლი).

შემდეგ ხელშეკრულებაში ნათქვამია:

„ხელშეკრულების დამდები თვითეული მაღალი მხარე ვალდებულებას კისრულობს არავითარი კავშირი არ შეკრას და მონაწილეობა არ მიიღოს არავითარ კოალიციაში, რომელიც მიმართული იქნება ხელშეკრულების დამდები მეორე მაღალი მხარის წინააღმდეგ“ (ხელშეკრულების მე-7 მუხლი).

ხელშეკრულება შეიცავს გარდა ამისა, ურთიერთდახმარების ვალდებულებას გერმანიის მილიტარიზმის მხრივ აგრესიის შემთხვევაში.

აღნიშნულ ვალდებულებათა წინააღმდეგ ინგლისი გახდა მონაწილე პარიზის შეთანხმებისა, რომლებიც იწვევენ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას და ამით ქმნიან გერმანიის ახალი აგრესიის საფრთხეს. ამასთანავე ინგლისმა რემილიტარიზებულ დასავლეთ გერმანიასთან შეკრა სამხედრო კავშირი, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ხელშეკრულება „ინგლისსა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდ ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მისი თანამზრახველების წინააღმდეგ ომში კავშირისა და ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“, რომელიც დაიდო 1942 წლის 26 მაისს, ამოქმედებულ იქნა ინგლისსა და სსრ კავშირის ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე.

ინგლისის მთავრობა ასეთი ფაქტიურად ეწინააღმდეგება ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის ხელშეკრულებას, ეწინააღმდეგება ინგლისელ ხალხებს, ეწინააღმდეგება ინგლისელ ხალხებს, ეწინააღმდეგება ინგლისელ ხალხებს

1945 — დიადი გამარჯვების სახელოვანი წელი — 1955 — ახალი გმირობანი

★ ★

ხანგრძლივი და მჯიცე მშვიდობისათვის

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, ყველაზე უკეთ ვიცით იმ გამარჯვების ფასი და მთელი სიდიადე, რომელიც მოპოვებულ იქნა 1945 წლის მაისის ისტორიულ დღეებში. ჩვენი ქვეყნის ხალხებმა, რომლებსაც აღაფრთოვანებს მშობლიური კომუნისტური პარტია, თავიანთ მძლავრ მხრებზე გადაიტანეს ომის ძირითადი სიმძიმე, მტერს გამანადგურებელი დარტყმა აგემეს.

ომის უკანასკნელ დღეებში საბჭოთა ჯარებმა იერიში მიიტანეს ბერლინზე, სადაც გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა. მე და ჩემთან ერთად ჩემს თანამებრძოლ ამხანაგებს საბჭოთა კავშირის გმირის სამსონოვის ნაწილიდან მოგვიხდა ბრძოლა ერთ-ერთ ყველაზე ძნელ უბანზე — რაიხსტაგის შენობასთან. თვითეული ჩვენგანი იბრძოდა მამაცურად და უშიშრად. ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ უკანასკნელ ლახვარს ვცემდით ფაშისტ მხეცს მის საკუთარ ბუნაგში, რომ ბერლინში გამართული ბრძოლა ამთავრებდა ომის გრძელ და მძიმე გზას.

იმ დღეს და სხვა დღეებში ყუმბარებით დანგრეული რაიხსტაგის კედლებზე, რომლის გუმბათზე ფრიალებდა გამარჯვების საბჭოთა დროშა, გაჩნდა ჩვენი გამარჯვებული მეომრების ასობით წარწერა.

როცა ამ წარწერებს ვაკეთებდით, ჩვენ ვფიქრობდით საბჭოთა ქვეყნის სიდიადესა და ძლევამოსილებაზე, რომ ომი დამთავრდა და ყველას შოგველის განვავრძოთ მტრის მიერ შეწყვეტილი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა.

ჩვენ, დიდი სამამულო ომის მონაწილენი, ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად დღეს მშვიდობისათვის აქტიური მებრძოლები ვართ. ჩვენ ვიცით, რომ ხანგრძლივი და მყარი მშვიდობა უნდა განვამტკიცოთ თავდადებული შრომით, ჩვენი მშვენიერი სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის კიდევ უფრო გაძლიერებით.

ხოლო იმათ, ვინც ფიქრობს დაარღვიოს ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება, ვეუბნებით: „ნუ დაივიწყებთ ისტორიის გაკვეთილებს. ის, რაც ათი წლის წინათ ფაშისტ დამპყრობლებს მოუვიდათ, მოუვა ყველა იმას, ვინც მათს კვალს მისდევს“.

მ. ქანთარია,
საბჭოთა კავშირის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ყოფილი მებრძოლის სიტყვა

საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი მშვიდობიანი შრომის ათი წელი გავიდა სამამულო ომში ჩვენი დიადი გამარჯვების დღიდან. მაგრამ საბჭოთა ადამიანების ხსოვნაში კვლავ ცოცხალია მოგონება ომის მძიმე დღეებზე, მათ არ ავიწყდებათ ის დიდი მსხვერპლი, რაც ჩვენმა ხალხმა გაიღო ფაშიზმზე გამარჯვების მოსაპოვებლად, ფაშისტური მონობისაგან ევროპის ხალხების გადასარჩენად, ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად. ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ომში მამაცურად დაცემულ საბჭოთა მებრძოლებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

განსაკუთრებით მძაფრია ომის მწარე დღეების ხსოვნა ყოფილი მებრძოლების შეგნებაში. ახლაც თვალწინ მიდგას ჰიტლერელი ყაჩაღების მიერ ფერფლად ქცეული ჩვენი ქალაქები და სოფლები, წამებით დახოცილ მოხუცთა, ქალთა და ბავშვთა გვამები, ომის ხანძარში გახვეული კრასნოდარი, როსტოვი, ხერსონი, ნიკოლაევი, ოდესა, რომელთა განთავისუფლებაში ჩვენი დიადი სამშობლოს სხვა ხალხთა შვილებთან ერთად მეც მივიღე მონაწილეობა, მახსოვს სისხლით შეღებილი მდინარე დნეპრი, რომლის გადალახვაში ვმონაწილეობდი.

ყოფილი მებრძოლები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად პატიოსანი შრომით განვამტკიცებთ საბჭოთა სახელმწიფოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის მტკიცე ბურჯის — ძლიერებას. ამასთან ფხიზლად ვადევნებთ თვალყურს იმ მაქინაციებს, რომლებსაც ეწევიან ახალი ომის გამჩაღებლები — ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები.

ვაშენებთ რა კომუნიზმს, ჩვენ მშვიდობა გვსურს, იმიტომ რომ ადამიანები და სიცოცხლე გვიყვარს. და თუ ვინმე გაბედავს ახალი ომი დაგვატეხოს თავს, კვლავ აღვსდგებით იარაღით ხელში ჩვენი დიადი სამშობლოს დასაცავად.

გ. ბახტაძე,
საბჭოთა კავშირის გმირი.

ჩვენ ერთგული ვართ ერთობლივი ფიცისა

გუშინ რედაქციას ესტუმრა ელბაზე საბჭოთა და ამერიკელი მებრძოლების შეხვედრის მონაწილე, ამჟამად ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ქირურგიის II კათედრის კლინიკური ორდინატორი რეგაზ ლუტიძე, რომელმაც ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელები მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად ზეიმით აღნიშნავენ გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის დამარცხების მე-10 წლისთავს. 10 წლის წინათ საბჭოთა ხალხმა, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა მტერი მისსავე ბუნაგში გაანადგურეს და გამარჯვების, მშვიდობის დროშა ააფრიალეს.

ჩემთვის დაუვიწყარია 1945 წლის 25 აპრილი, როდესაც გერმანიის შუაგულში, მდინარე ელბაზე საბჭოთა არმიის მებრძოლები შეეხვდით სამხედრო ფორმაში გამოწყობილ რიგით ამერიკელ ადამიანებს. რამდენი უშუალობა და სითბო იგრძნობოდა ამ შეხვედრისას... და იქ, ომის პირველი პერიოდის სამხედრო უპირატესობათა გამოყენების შედეგად ფაშისტური გერმანიის ჯარების მნიშვნელოვან ოპერატიულ-სტრატეგიულ შედეგებს მიაღწიეს. მაგრამ ომის უკვე პირველ თვეებში გერმანელთა შეიარაღებულმა ძალებმა დიდი რაოდენობით დაკარგეს ჯარისკაცები და ოფიცრები, დაკარგეს 50 პროცენტამდე ტანკები, მანქანები და სხვა საბრძოლო ტექნიკა.

ნ. რადეცკი,
გენერალ-ლეიტენანტი.

შეაკავა და მოიგერია რა მტრის პირველი შემოტევა, საბჭოთა უმაღლესმა მთავარსარდლობამ, რომელსაც სათავეში ი. ბ. სტალინი ედგა, მოამზადა და განახორციელა მიმართულებით გაგზავნა დიდი რეზერვები, რომელთა ძალებითაც მოეწყო მთელი რიგი მძლავრი კონტრშეტევები და კონტრშეტევები.

ტიხვინთან, დონის როსტოვთან, დიდ ბრძოლაში მოსკოვთან მტერს სერიოზული დამარცხებანი ვაგემეთ, იგი უკუგდებულ იქნა ასობით კილომეტრზე დასავლეთისაკენ, მას უდიდესი ზარალი მოუვიდა ადამიანთა და ტექნიკის მხრივ. 1941 წლის დამლეგის ამ ბრძოლებში საბოლოოდ ჩაიფუშა ჰიტლერული ლეგენდა „ელვისებური“ ომისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გაცამტვერდა მითი გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ.

1942 წლის ზაფხულში ფაშისტურმა სარდლობამ, რომელსაც შესაძლებლობა ალარ ჰქონდა ეწარმოებინა შემოტევა მთელ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, ისარგებლა იმით, რომ არ იყო მეორე ფრონტი, და ჩვენს წინააღმდეგ თავისი ჯარები გაადიდა 240 დივიზიამდე, მთავარ დამკვრელ დაჯგუფებებს თავი მოუყარა ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში და დიდი შეტევა დაიწყო ივნისში სტალინგრადისა და კავკასიის მიმართულებებით. გერმანიის სარდლობა ვარაუდობდა გაჭრილიყო ვოლგასთან, ხელში ჩაეგდო კავკასიის უმდიდრესი ნავთობის რაიონები და შემდეგ სტალინგრადიდან ჩრდილოეთისაკენ მიმართული დარტყმით შემოეკლო მოსკოვისათვის, ხელში ჩაეგდო იგი და ამით აეძულებინა საბჭოთა კავშირი მოეხდინა კაპიტულაცია. ჩვენს ქვეყანას კვლავ დაემუქრა მომაკვდინებელი საფრთხე.

მაგრამ მტერმა ამჯერადაც ვერ მიაღწია თავის მიზანს. 1942 წლის ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში წარმოებული გაფთრებული თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ საბჭოთა შეიარაღებული ძალები, რომელიც უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებულ და გაბედულ ჩანაფიქრს ასრულებდნენ, მძლავრ კონტრშეტევაზე გადავიდნენ, გარსშემორტყმული გერმანელთა 330-ათასიანი დაჯგუფებას სტალინგრადთან, მოსპეს იგი, ხოლო შემდეგ, განავითარეს რა საერთო შეტევა, ასობით კილომეტრზე უკუაგდეს ფაშისტები ვოლგიდან და კავკასიიდან. ამ გრანდიოზულ ბრძოლებში საბჭოთა არმიამ გადამწყვეტ გარდატეხას მიაღწია თავის სასარგებლოდ დიდი სამამულო ომის მსვლელობაში. მან ხელიდან გამოგლიჯა გერმანელებს სტრატეგიული ინიციატივა, რომელსაც ამ დროიდან მოკიდებული ომის დამთავრებამდე მტკიცედ ინარჩუნებდნენ ჩვენი შეიარაღებული ძალები.

1943 წელს, დაამარცხეს რა გაფთრებულ ბრძოლაში კურსკის შვერილზე ფაშისტური გერმანიის არმიის საუკეთესო ძალები, საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს ფართო შეტევა და დნეპრიდან შორს უკუაგდეს ჰიტლერელთა შეიარაღებული ძალები.

1944 წელს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ათი თანმიმდევრული დარტყმის მსვლელობაში, რომლებიც უმაღლესმა მთავარსარდლობამ მოაწყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის მთელ ფრონტზე, გაანადგურეს ფაშისტური გერმანიის ჯარების ყველა ძირითადი თავდაცვითი დაჯგუფება და, საბჭოთა მიწა-წყლიდან გარეკეს რა ოკუპანტები, შეუდგნენ ევროპის ხალხების განთავისუფლებას ფაშისტური უღლისაგან.

ომის დამამთავრებელი ბრწყინვალე ოპერაციების შედეგად, რომლებიც 1945 წელს ერთდროულად წარმოებდა 1.200-კილომეტრიან ფრონტზე, საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა საბოლოოდ დაამარცხეს მტერი მის ტერიტორიაზე, აიღეს გერმანიის დედაქალაქი ბერლინი და მიაღწიეს ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალების სრულ და უსიტყვო კაპიტულაციას. ამით საბჭოთა არმიამ ღირსეულად შეასრულა თავისი ისტორიული განმათავისუფლებელი მისია.

უდიდეს ბრძოლებში გაანადგურეს რა ფაშისტური გერმანიის არმია, საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა გაიმარჯვეს იმიტომ, რომ ისინი იწრთობოდნენ, იზრდებოდნენ და ომობდნენ მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა გამოყენებით, მეცნიერებისა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის გრანიტის საძირკველზეა აგებული. საბჭოთა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა დაიმახსოვრეს მთელი პროგრესული კაცობრიობის კანონიერი აღიარება და პატივისცემა იმიტომ, რომ ისინი ახორციელებდნენ არა აგრესიულ, არამედ განმათავისუფლებელ, ანტიფაშისტურ მიზნებს. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა გაიმარჯვეს საბჭოთა ხალხის მუდმივი მზარდაჭერისა და მზრუნველობის მეოხებით, თავისი ბელადის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი სახელოვანი ცენტრალური კომიტეტის ბრძნული და შორსმჭვრეტელი ხელმძღვანელობის მეოხებით.

მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი სიმძიმე. ფაშისტური გერმანიის განადგურებამ განსაზღვრა აგრეთვე მისი მოკავშირის—იმპერიალისტური იაპონის დამარცხება. მაგრამ უკვე ომის მსვლელობაში და განსაკუთრებით ომისშემდგომ პერიოდში ისტორიის მრავალი ფალსიფიკატორი იმპერიალისტურ ბანაკში ძაბავდა და ძაბავს ძალებს, რომ ყოველნაირად დაეკნინოს საბჭოთა ხალხის წვლილი ფაშისტურ ბლოკზე გამარჯვებაში, დავიწყებას მისცეს საბჭოთა შეიარაღებული ძალების უბადლო საბრძოლო გმირობა.

ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების ხალხთა ღონისძიებებს გერმანელ ფაშისტებსა და იაპონელ იმპერიალისტებზე გამარჯვების საქმეში. ამასთან ერთად სამართლიანობისა და ისტორიულ მოვლენათა სწორი გაგებისათვის საჭიროა გავიხსენოთ, რომ ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები ყოველნაირად ფუშავდნენ და აჭიანურებდნენ ნაკისრ სამოკავშირეო ვალდებულებათა შესრულებას. მათ დიდი ხნით გადადეს მეორე ფრონტის გახსნა და ევროპაში აქტიური მოქმედება დაიწყეს მხოლოდ 1944 წლის ივნისში, როცა ნათელი გახდა, რომ საბჭოთა კავშირს იმათ დაუხმარებლადაც შეეძლო დაემთავრებინა ჰიტლერული გერმანიის განადგურება და ფაშისტური უღლისაგან გაეთავისუფლებინა ევროპის დამონებული ხალხები.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების 1945 წლის ბრწყინვალე ოპერაციებმა, რომლებმაც გამოიწვია ჰიტლერული არმიის სრული განადგურება, ჩაშალა ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა ვერაგული გეგმები.

1945 წლის 8 მაისს ბერლინში ყველა მოკავშირემ ხელი მოაწერა აქტს ფაშისტური გერმანიის სრული და უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ. ყველა ქვეყნის ხალხები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ამ დიდ ხნის ნანატრ ცნობას.

• • •

გერმანიის ფაშიზმზე საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ განსაკუთრებული ძალითა და დამაჯერებლობით დაადასტურა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უდიდესი ცხოველმყოფელობა და ურყევი ძლიერება.

არაჩვეულებრივი მკაფიობით აჩინა თავი სოციალიზმის ისეთმა შესანიშნავმა მამოძრავებელმა ძალებმა, როგორიც არის საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა და ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი. თავი აჩინა ფრონტისა და ზურგის, საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების რკინისებურმა ერთიანობამ, მათმა უსაზღვრო ერთგულებამ კომუნიზმის საქმისადმი, საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიისადმი.

საბჭოთა ხალხმა ფაშისტურ გერმანიას ხძლია ყველა ხაზით, გამარჯვება მოიპოვა აგრესორზე ეკონომიური, სამხედრო და მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით.

ამ მსოფლიო-ისტორიულ მიღწევებს უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს. ომისწინა წლების განმავლობაში კომუნისტური პარტია დაუღალავად ზრდიდა საბჭოთა ხალხს სიფხიზლის სულისკვეთებით, იმპერიალისტური აგრესიისაგან თავისი სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნის სულისკვეთებით.

ახორციელებდნენ რა სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობას, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უზრუნველყვეს ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების ყოველმხრივი განმტკიცება. პარტიისა და ხალხის უდიდესი მიღწევა იყო ის, რომ შეიქმნა უაღრესად განვითარებული მძიმე მრეწველობა, და გარსაკუთრებით მანქანათმშენებლობა, რომლის ბაზაზეც ხორციელდებოდა ჩვენი შეიარაღებული ძალების აღჭურვა სრულყოფილი საბრძოლო ტექნიკით. სწორედ მძიმე ინდუსტრია იყო საფუძველი ჩვენი სამხედრო ძლიერებისა დიდი სამამულო ომის წლებში.

მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის არსებობამ, სოფლად საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის თანმიმდევრულმა განმტკიცებამ, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და მეგობრობის განმტკიცებამ, შეიარაღებული ძალების ძლიერების განმტკიცებამ — ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების სიმტკიცის ყველა ამ საფუძველმა, რომლებიც შექმნილია კომუნისტური პარტიის ღონისძიებებითა და ზრუნვით, შესაძლებლობა მოგვცა მოგვეპოვებინა წარსული ომში ბრწყინვალე გამარჯვება ჰიტლერიზმზე.

• • •

ფაშისტ აგრესორებზე გამარჯვებამ მნიშვნელოვნად განამტკიცა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები, განუზომლად აამაღლა მისი ავტორიტეტი, როგორც სიმტკიცე დასაყრდენისა ერთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირი, რომელიც მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მსოფლიოში ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო იყო, ახლა გამოვიდა საერთაშორისო იზოლაციის მდგომარეობიდან.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად კაპიტალიზმის ფრონტი გარღვეულ იქნა უდიდეს სივრცეზე. შეიქმნა სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი. ამ მძლავრ ბანაკში სოციალიზმის დროშების ქვეშ დგანან 12 ქვეყნის ხალხები, რომლებშიც 900 მილიონზე მეტი კაცია. მსოფლიო ასპარეზზე ორ ხაზგადოებრივ სისტემას შორის ძალთა თანაფარდობა ძირეულად შეიცვალა კაპიტალიზმის სასარგებლოდ და სოციალიზმის სასარგებლოდ.

მშვიდობისა და დემოკრატიის მძლავრი ბანაკის ძალების განუხრელი ზრდა და განმტკიცება უდიდეს შეშფოთებასა და გაბოროტებულ სიძულვილს იწვევს იმპერიალისტური ბლოკის მესვეურებში. ისინი ჯერ კიდევ ოცნებობენ უკან დაბრუნონ ისტორია, ვარაუდობენ კვლავ დაადგან ამ ქვეყნებს კაპიტალიზმის უღელი. ეს იმპერიალისტური მისწრაფებები უდევს საფუძვლად ეგრეთწოდებულ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას — ახალი მსოფლიო ომის მომზადებისა და გაჩაღების პოლიტიკას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ. სწორედ ამ მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დადო მთელი რიგი აგრესიული ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი იმპერიალისტური სამხედრო ბლოკებისა და კავშირების შესაქმნელად. ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი უგულებელყოფენ ისტორიის გაკვეთილებს და კვლავ აღადგენენ გერმანიის მილიტარიზმს, რომელიც ასე ცოტა ხნის წინათ იქნა განადგურებული უდიდეს ღონისძიებათა და ადამიანის მსხვერპლის ფასად.

საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც ახალი საზოგადოების მშენებლობას ეწევიან, შეუურყეველად ახორციელებენ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკას. ამასთანავე ისინი ფხიზლად ადევნებენ თვალყურს იმპერიალისტთა ვერაგული გეგმებს.

მესამე მსოფლიო ომი, თუ იმპერიალისტებმა მოახერხეს მისი გაჩაღება, უკიდურესად გამწვავებს კაპიტალიზმის დამახასიათებელ ეწინააღმდეგობას და გამოიწვევს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მხრივ ისეთ გაფთრებულ წინააღმდეგობას, რომ მას შედეგად მოჰყვება მთელი კაპიტალისტური სისტემის დაღუპვა.

• • •

ჩვენი ხალხის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მონოლითური ერთიანობა საბჭოთა სახელმწიფოს ურყევი ძალის წყაროა, საბჭოთა სამშობლოს სამხედრო ძლიერების შემდგომი ყოველმხრივი განმტკიცების საფუძველია.

ბრძოლასა და შრომაში ერთად

ოთხივე ერთ საწარმოში — თბილისის ოთხივე ბერლინის აღების მონაწილეა. ბერიას ფოტოლენტის ფოტოგრაფ ალექსანდრეს თავი გვიჩვენებს ბერლინის ოლქის ბურგომისტრ ფ. ბეგერს. ფოტო ვ. გინზბურგისა.

ორთქლმავალ ე-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მუშაობს. ბერიას ფოტოლენტის ფოტოგრაფ ალექსანდრეს ბერლინის ოლქის ბურგომისტრ ფ. ბეგერს. ფოტო ვ. გინზბურგისა.

გუშინ შეხვენების დროს მათ ერთად მოიყარეს თავი გოგორწყვილების საამქროში და სახელოვანი ბრძოლების ეპიზოდები მოიგონეს. სურათზე: (მარჯვნიდან) ზეინკალი პავლე ივკინი უყვება ხ. ტიგრანიანს, ა. ალექსეროვსა და მ. სარაჯიშვილს ფრონტის ამბებს. ფოტო ვ. გინზბურგისა.

★ ★ ★

გადამწყვეტ უბანზე

რა დამავიწყებს ბერლინის იერიშს! მთელ ჩვენს დივიზიასთან — ტამანის წითელდროშოვან და სუვოროვის ორდენოსან დივიზიასთან ერთად მტერს ულმობლად ურტყამდა ჩემი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი.

სამშობლომ დამიფასა ამაგი. დაჯილდოებული ვარ წითელი ვარსკვლავისა და სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებით, ავრეთვე მედლებით.

ომი დამთავრდა. მშობლიურ თბილისში დაბრუნდი და ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში ვმუშაობ ზეინკლად. დავალებებს თითქმის ორმაგად ვასრულებ. კარგად ვიცი, რომ ვმუშაობ სახალხო მეურნეობის ამ უბანზე — მძიმე მრეწველობაში, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის. ამიტომ მთელ ჩემს ენერგიას ვახმარ ამ დიდ პატრიოტულ საქმეს.

პ. ივკინი,
გოგორწყვილების საამქროს ზეინკალი.

ისტორიის გაკვეთილები

გაზეთებში ამოვიკითხე ცნობა, რომ ამ დღეებში მოსკოვში გაიმართება მდინარე ელბაზე საბჭოთა და ამერიკელი ჯარისკაცების შეხვედრის ათი წლისთავის აღსანიშნავი კრება.

მომაგონდა ის დაუვიწყარი მეგობრული შეხვედრა ელბაზე. მაშინ მეც იქ ვიყავი. ჩვენ ვზეიმობდით გამარჯვებას, მაგრამ ჯერ ისევ ბოლავდნენ ნახანძრალები, არ შემშრალიყო სისხლი ბრძოლის ველზე, რომ იმპერიალისტებმა კვლავ დაიწყეს ახალი ომის პროვოკაციები და ომისათვის გამაღაფული მზადება. ისინი ცდილობენ თავიანთ ხალხს დაავიწყონ ისტორიის გაკვეთილები. ეს გაკვეთილები კი ლაპარაკობენ, რომ გაცამტვერებულ იქნება ყველა, ვინც ეცდება ხელყოს ჩვენი დიდი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ა. ალექსეროვი,
საქვაბე საამქროს ზეინკალი.

ვშრომობ, ვსწავლობ

ჩვენი დიადი ქვეყნის მომავალ ხალხების სხვა შვილებთან ერთად ბრძოლებით განვლილ მძიმე გზა ჰიტლერული გერმანიის ბუნაგამდე — ბერლინამდე.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ენერგოძალოვან საამქროში ვმუშაობ ძრავის დამზადებად. ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 170 პროცენტით ვასრულებ.

ვმუშაობ და თან ვსწავლობ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ვარ მეოთხე კურსზე. ახლა მე, ისევე როგორც მილიონობით საბჭოთა ადამიანი, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით ვარ გართული, მაგრამ თუ კი ვინმე გაბედავს და დაარღვევს ჩემი ქვეყნის საზღვრებს, კვლავ სოციალისტური სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში ჩავდგები.

მ. სარაჯიშვილი,
ძარას დამხვევი.

რაიხსტაგის კედლებთან

სიხარულით ვიგონებ გამარჯვების დღეს, რაიხსტაგის კედლებზე გვარებს რომ ვწერდით... „ბელოვი“ — დიდი ასოებით აღბეჭდა თავისი გვარი რუსმა ამხანაგმა, „ვაისუბრაძე“ — წერდა ჩემი გვარდიელი მეგობარი და ჩემი გვარიც მივუმატე...

როცა სამამულო ომიდან ვბრუნდებოდი დიდების ორდენით დაჯილდოებული და ფაშისტ დამპყრობთა მიერ გადატეხილი ქალაქებსა და სოფლებს ვუყურებდი, გული მტკიოდა, არ მეგონა, რომ ასე მალე შეეძლებდით ამ ჭრილობის მოშუშებას. მაგრამ მშვიდობისმოყვარე, თავისუფალ ხალხს ყველაფერი შეუძლია. მილიონობით ადამიანები მშვიდობიანი შრომის ფერხულში არიან ჩაბმულნი და ძალღონეს არ იშურებენ ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავებისათვის, მისი ძლიერების განმტკიცებისათვის. მეც შემაქვს წვლილი ამ დიად საქმეში, სამგზავრო ვაგონების საამქროში ვმუშაობ და სისტემატურად ორმაგად ვასრულებ დავალებებს.

ს. ტიგრანიანი,
სამგზავრო ვაგონების საამქროს დურგალი.

შევქმნით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვეს

ჯერ კიდევ ფრონტზე, ქვემეხების ქუხილსა და ტყვიამფრქვევების კაკანში, არ მშორდებოდა ფიქრი ჩემს მშობლიურ სოფელ მარტყოფზე, სადაც 1946 წელს დემობილიზაციისთანავე დავბრუნდი. იმავ წელს მშრომელებმა დიდი ნდობა გამომიცხადეს — ამირჩიეს ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ხოლო უკვე 1953 წლის ბოლოს — მარტყოფის სტალინის სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1954 წელს მოვიპოვეთ პირველი წარმატებანი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში: 1953 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად ავამაღლეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. თვითეულ შრომადღეზე გავეცით 4 კილოგრამი მარცვლეული, 3 მანეთი ფული, აგრეთვე სხვა პროდუქტები.

ჩვენი კოლმეურნეობა თბილისის საგარეუბნო საზოგადოებრივი მეურნეობაა. ამიტომ გასაგებია ის დიდი როლი, რომელიც მარტყოფელ კოლმეურნეებს ეკისრებათ საქართველოს დედაქალაქის მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტებითა და ბოსტნეულით უზრუნველყოფის საქმეში. მაგრამ ჩვენ დღემდე ვერ ვასრულებდით მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის დაწესებულ გეგმებს.

წელს გადაწყვეტილი გვაქვს საბოლოოდ გამოვიყვანოთ ჩამორჩენიდან მეცხოველეობა და მებოსტნეობა, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკაში. იანვრის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში შევიძინეთ 92 სული ჯიშიანი ძროხა, ვაშენებთ მეცხოველეობის ტიპურ ფერმას, რომელშიც ყველა შრომატევადი პროცესი მექანიზებული იქნება. საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით წელს ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 45 ჰექტარისა დავთესეთ 115 ჰექტარი სიმინდი. დიდ ფართობებზე დავთესეთ საკვები ჭარხალი, სხვადასხვა ბალახები. ყველა ეს საშუალებას მოგვცემს წელს გეგმით გათვალისწინებული 1.000 ლიტრის ნაცვლად ფვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღოთ 1.200 ლიტრი რძე.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ ბოსტნეულის თესვისა და რგვის პროგრესულ მეთოდებს.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა მტკიცე გადაწყვეტილებაა კომუნისტური პარტიის დავალება უკვე 1957 წლისათვის შევასრულოთ — მივცეთ სამშობლოს მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ი. სუხიტაშვილი,
გარეუბნის რაიონის სოფელ მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

დიდი სამამულო ომის გმირთა ხსოვნისათვის

საქართველოს მშრომელნი წმიდად ინახავენ დიდი სამამულო ომის გმირთა ხსოვნას.

თბილისში ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის შენობაზე გაკრულია მარმარილოს მემორიალური დაფა. დაფაზე ამოკვეთილია:

„აქ მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად (VIII-1938 — I-1942 წ.) და ჯარების სარდლად (I-1947 — X-1949 წ.) ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი გამოჩენილი სარდალი და მშენებელი, დიდი სამამულო ომის სახელმოხვეჭილი გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინი (1894-1949)“.

უკვდავყოფილია ხსოვნა თბილისში დაკრძალულ გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძისა, რომელიც დიდი სამამულო ომის წლებში სარდლობდა ჯარის დიდ შენაერთებს. ლესელიძის სახელი ეწოდა ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაგისტრალს. სკვერში ი. ბ. სტალინის სახელობის სანაპიროზე ახალ ხიდთან აგებულია გენერალ ლესელიძის ძეგლი.

ერთ-ერთი ქუჩა თბილისის ლენინის რაიონში ატარებს უშიშარი მფრინავის საბჭოთა კავშირის გმირის ჭიჭიკო ბენდელიანის სახელს, რომელიც მამაცთა სიკვდილით დაიღუპა მტრის წინააღმდეგ საჰაერო ბრძოლაში. მისი სახელი მიეკუთვნა თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლას და ჩოხატაურის რაიონის სოფელ გორა-ბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს.

თბილისის მოლოტოვის რაიონის 30-ე სკოლაში ნახავთ მეომარი ტანკისტის, ამ სკოლის აღზრდილის საბჭოთა კავშირის გმირის შოთა გამცემლიძის პორტრეტს. ამ სახელოვანმა პატრიოტმა სიცოცხლე შესწირა სამშობლოს.

ფართო პოპულარობით სარგებლობს საქართველოში სიმღერა ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან კავკასიის დაცვის ერთ-ერთ გმირზე კაპიტან ვარლამ ბუხაიძეზე. ამ სიმღერის სიტყვები ეკუთვნის პოეტ ირაკლი აბაშიძეს.

ქანდაკებანი, ფერწერის ტილოები, მუსიკალური ნაწარმოებნი, სახალხო პოეტთა და მთქმელთა ლექსები აღადგენენ დიდი სამამულო ომის გმირთა სახეებს, მოგვაგონებენ მათს სახელოვან საქმეებს. (საქდესი).

საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება

ათი წელი გავიდა იმ ღირსსახსოვარი დღეებიდან, როცა მეუღრეი უკანასკნელი ბრძოლები, რომლებითაც ძლევამოსილად დამთავრდა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ.

ევროპის ვერცერთმა ქვეყანამ, რომელმაც ფ

სოციალისტური სამშობლოს სიამაყე—გმირი ქალაქები

„მოსკოვისა... ოდესისა და სევასტოპოლის, ლენინგრადისა და სტალინგრადის გმირმა დამცველებმა გვიჩვენეს თავდადებული სიმამაცის, რკინისებური დისციპლინის, გამძლეობისა და გამარჯვების უნარის ნიმუშები“.

ი. სტალინი.

ლენინგრადი

ყველა ქალაქს აქვს თავისი საზღვრები. ზოგჯერ პატარა ბოძებით, ზოგჯერ ობელისკებით აღნიშნავენ იმ ადგილს, სადაც ქალაქის ფარგლები თავდება. მაგრამ ლენინგრადს აქვს კიდევ ერთი საზღვარი. იქ, სადაც ეს საზღვარი გადის, რამდენიმე ადგილას გრანიტის კვარცხლბეკებზე დაუდგამთ სახელმოხვეჭილი საბჭოთა ტანკები. ისევ ძველებური მრისხანებით იყურებიან ქვემეხები. კვარცხლბეკები და მათზე დადგმული მანქანები ისე შემართულნი მოჩანან, რომ, ასე გეგონებათ, სადაც არის დაიძვრებიან და მათ ვერაფერი შეაკავებსო.

ტანკები აღნიშნავენ ფრონტის ხაზს, სადაც 1941 წლის შემოდგომაზე საბჭოთა ადამიანებმა შეაჩერეს გერმანელ ფაშისტთა ორმოცი დივიზიის გააფთრებული შემოტევა. მაშინ შეიარაღებულმა ხალხმა გზა გადაუღობა მტერს. მტრის ყუმბარები სულ ახლო ეცემოდა, როცა მიტინგებზე გამოსულმა ლენინგრადელებმა, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა, თქვეს: „მტერი ვერ შემოაღწევს!“ იმ დღეებში გაისმა ნარვის უბნის მუშების მგზნებარე მოწოდება:

— სიკვდილს უფრო შეეშინდება ჩვენი, ვიდრე ჩვენ სიკვდილისა. ჩვენ ისე ვიბრძოლებთ, რომ მტერს თმა ყალყზე დაუდგეს მარტო სიტყვა „პუტილოველის“ გაგონებაზე... ეს მოწოდება გმირულად იქნა შესრულებული.

და ახლა სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, მუშები გამოფინებიან მზით გაბრწყინებულ მაგისტრალზე, რომელსაც 1905 წლის სამახსოვროდ გაფიცვების ქუჩა ეწოდება. ჩაუვლიან თავიანთი გიგანტი ქარხნის ქვის გალავანს, მახლობლად აღმართულ ახალ სახლებს. ყური დავუგდოთ, რაზე ლაპარაკობენ ეს ადამიანები.

ახალ საწარმოო დავალებაზე, ამხანაგებზე, რომლებმაც მოისურვეს სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ წასვლა, ქარხნის მიერ აგებულ მორიგ სახლში ახალჩასახლებულ ამხანაგებთან სტუმრობაზე... დაუშრეტელია მუშების საუბრის თემა.

მათთან ერთად ქუჩებში გამოფენილან ათობით სხვა საწარმოს მუშები — ორთქლისა და წყლის ტურბინების, უნიკალური გენერატორებისა და შემდუღებელი მანქანების, ჩარხებისა და ტრანსფორმატორების, ვაგონებისა და ფოლადის კონსტრუქციების შემქმნელები.

ლენინგრადი მუდამ იყო მძიმე მანქანათმშენებლობის სახელგანთქმული არსენალი. უმაგალითო ტემპით განვითარდა ლენინგრადის მრეწველობა ომისშემდგომ წლებში. კომუნისტურმა პარტიამ დააკისრა ლენინგრადს იყოს ტექნიკური პროგრესის ცენტრი. მოწინავე იყოს ზუსტი მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის ახალ დარგებში. მგზნებარედ შეუდგნენ მუშაობას ლენინგრადელები, ამავე დროს აღადგენდნენ თავიანთ ქალაქს, ცდილობდნენ სწრაფად მოეშუშებინათ ომით მიყენებული ჭრილობები.

გამარჯვების დღის მე-10 წლისთავს ლენინგრადი ხვდება განახლებული და გაახალგაზრდავებული. არასოდეს ასე მშვენიერი არ ყოფილა მისი ქუჩებისა და მოედნების სახელმოხვეჭილი ანსამბლები, ნევის სანაპიროები. ყოველწლიურად დიდი სახსრები ხმარდება შენობებისა და ქუჩების წესიგზე მოყვანას. ხარაჩოებშია ქალაქის ერთ-ერთი უდიდესი მაგისტრალი — ლიტეინი პროსპექტი. აქ ხარაჩოები იდგა მოკლე ხნის წინათ თითქმის ერთნახევარი კილომეტრის მანძილზე, ახლა კი თანდათანობით ხსნიან ხარაჩოებს ხან ერთ, ხან მეორე სახლს, და საუკეთესოდ მოჩუქურთმებული ფასადები ჩნდებიან.

მშენებლები ემზადებიან ზაფხულისათვის, ცდილობენ კიდევ უფრო გაშალონ სამუშაოთა ფრონტი. ზაფხულისათვის ემზადებიან სამდინარო ტრანსპორტზე, ვაჭრობაში, ბაღებსა და პარკებში. მარტო ს. მ. კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში წყალში უშვებენ 380-ზე მეტ ნავს, აახლებენ პარკის მწვანე ნარგავებს, რგავენ ასობით მრავალწლიან ხეს, ათასობით დეკორაციულ ბუჩქს, გამოჰყავთ მილიონობით ყვავილი.

სხვადასხვა ამბებით არის სავსე ლენინგრადელთა ყოველდღიური ცხოვრება. ქალაქში არქიტიკაში გააცილა თვითმფრინავები ახალი მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთ პოლუს—5“-ის პირადი შემადგენლობით და მეგობრული შეხვედრა მოუწყო სადგურ „ჩრდილოეთ პოლუს—3“-ის მოზამთრეებს, რომლებმაც ღირსეულად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. მოსკოვის ვაგზლიდან გავიდნენ მატარებლები და წაიყვანეს ათასობით ახალგაზრდა ენთუზიასტი, რომლებიც კომუნისტური პარტიის მოწოდებით გაემგზავრნენ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად. დაუსრულებლად მოდის იმათი განცხადებები, ვისაც სურს მთელი თავისი ძალღონე მოახმაროს სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას და ამ მიზნით სურვილს აცხადებს მუდმივად გაემგზავროს კოლმეურნეობებში სამუშაოდ.

და, როგორც ყოველთვის, დღეს ლენინგრადი — ეს არის არა მარტო კომუნიზმის მშენებელთა რაზმი, კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული, არამედ მრისხანე სიმაგრეც, ისევე უძლეველი და მძლავრი, როგორც ჩვენი დიადი სამშობლო.

ი. სტვოლინსკი,
„კომუნისტის“ კორესპონდენტი.



ლენინგრადი. ნევის პროსპექტი.
ფოტო პ. ფედოტოვისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

* * *

დიდება მოსკოვს!

1945 წელი. მოსკოვი. გამარჯვების პარადი წითელ მოედანზე. საბჭოთა მეომრები მავზოლეუმთან ყრიან გერმანელ ფაშისტთა ჯარებისათვის წართმეულ დროშებს.

დიადი, თვალუწვდენელი და განუმეორებელი წარმოგვიდგება მოსკოვი თვითმფრინავის ფრთებქვეშ და ყოველთვის სიხარულით შეტოკდება ხოლმე გული, როცა ხედავ ჩვენი ლამაზი დედაქალაქის ამ სივრცესა და ძლიერებას.

ჰაერიდანაც კი ემჩნევა, თუ როგორ განახლებულია იგი უზარმაზარი შენობებითა და ნაგებობებით, რა ფართოდ გადაჭიმულან მისი ახალი ქუჩები, რა მჭიდროდ აღმართულან ფაბრიკა-ქარხნების კორპუსები, როგორ შემოსილან გრანიტით მისი სანაპიროები.

წყნარი, მონოლითური, შეფერილობითა და თავისი ქვების ზუსტი ფორმით კრემლის კედელთან შეხიზნული ლენინის მავზოლეუმი — ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საუკუნის უდიდესი წმიდათა-წმიდა, რომელიც უკვე ბუნებრივად გვეჩვენება, თითქოს მუდამ აქ იდგაო. და იგი მუდამ დარჩება ადგილად, სადაც ივლის ყველა ხალხი, რომლებიც თანდათანობით განთავისუფლდებიან კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის უღლისაგან, ჩაგრის ბნელი ძალებისადმი სახალხო წინააღმდეგობის ყველა გმირი, ყველა უბრალო ადამიანი, რომლებიც მოწიწებით წარმოთქვამენ ლენინის სახელს მსოფლიოს ყველა კუთხეში.

ამ მავზოლეუმზე ავიდა სტალინი იმ განუმეორებელი დღის ყინვიან, მოღუშულ დილას, რომელიც უკვდავ გამარჯვებებს აღგვითქვამდა. მოსკოვი მდუმარე და უკაცრიელი იყო.

მავზოლეუმის წინ წითელი მოედნის თოვლის ფანტელებით დაფიფქულ ფილაქანზე კი მიდიოდნენ ბატალიონები და ასეულები. ისინი პარადიდან პირდაპირ მოსკოვისათვის ბრძოლაში, საბჭოთა ხალხის მომავლისათვის, მთელი კაცობრიობის მომავლისათვის ბრძოლაში ნასამზადევად მიემართებოდნენ.

ჩემთვის უცნობია კაცობრიობის ისტორიაში უფრო მართალი და უფრო ამათრთოლებელი სურათი. მომაკვდინებელი საფრთხე ეკმს, ყველაზე მრისხანე განსაცდელის წინ მებრძოლები მიდიოდნენ ბელადის წინაშე, რომელსაც არაფრისა არ ეშინოდა, რომელიც თავისი არწივისებური თვალით ხედავდა, თუ როგორ იქნებოდა მტერი ძლეული და უკუგდებული, და ხედავდა, რომ ეს მოხდება ახლავე, აი ასეთი, თითქოს უნუგეშოდ მძიმე დღის შემდეგ.

სად წავიდნენ ის ტანკები, რომლებმაც გაკვალეს პირველი თოვლი წითელ მოედანზე? შეიძლება ზოგიერთი მათგანი წლების შემდეგ მივიდა დამხობილ ბერლინამდე, და იქ ტანკისტმა გაიხსენა ისტორიული პარადი წითელ მოედანზე და ხმა, რომელიც მსოფლიო გაოცა სიმტკიცითა და გულში ჩაწუდომის ძალით, საყვარელი, გენიალური სტალინის ხმა...

და ერთბაშად გვაგონდება სხვა დღე, როცა დაუსრულებლად მოდიოდა გაზაფხულის კოკისპირული წვიმა. და, მიუხედავად ამ ღვართქაფისა, თითქოს თვით მიწა გამოსაზივებდა მზეს, და იგი ყველას გულში ენთო. ეს გამარჯვების მზე იყო.

წითელ მოედანზე გამარჯვების პარადი მიმდინარეობდა. მხედართუფროსები — ყველა ფრონტის მარშლები, იარაღის ყველა გვარეობის ჯარების მეთაურები, გამარჯვების ყველა გზაზე გამოვლილი მეომრები შეიკრიბნენ წითელ მოედანზე იმ დღეს, რომელიც ესოდენ განსხვავდებოდა ნოემბრის დღისაგან.

გმირთა ბატალიონებითა და პოლკებით სავსე იყო მოედანი. მათ მკერდზე უბრწყინავდათ საბრძოლო ორდენები, დაჭრილობის მაჩვენებელი ლენტები.

ესენი იყვნენ რჩეულნი რჩეულთაგან, ვინაიდან მილიონობით საბჭოთა ადამიანს — მტერთა მძლეველებს — ყველას არ შეეძლო მოსულიყო მოედანზე, მაგრამ აქ მყოფნი წარმომადგენლობდნენ ამ მილიონებს, რომლებმაც დაიცვეს სამშობლო მიწა-წყალი და ტანჯული ევროპის ხალხებს თავისუფლება მიუტანეს.

...წითელი მოედანი ისეთი ადგილია, საიდანაც ჩანს მსოფლიოს ყველა მხარე, თითქოს იგი ამაღლებულია საბჭოთა ქვეყნის ზეკით, დედაქალაქის ცენტრში, და ყველაფერი, რაც ამ მოედანზე ხდება, შორსა ჩანს, და იქიდან კარგად ჩანს, რაც ხდება ყველაზე შორეულ შორეთში.

მთელმა მსოფლიომ დაინახა ძლიერებისა და გამარჯვების ეს პარადი. რეაქციონერები და იმპერიალისტები, ახალი ომის გამჩაღებლები ტყუილად კი არ შეშფოთდნენ, რომ ჩაიფუშება მათი ხრიკები და ფაშიზმისაგან ეს-ეს არის განთავისუფლებულ ხალხთა ჩაგვრის გეგმები, ჩვენი სამართლის პროკურორით გაშუქებულნი და მხილებულნი. მათ სურდათ დაღლილ-დაქანცული და დაძაბუნებული ვინახეთ გამარჯვების მეორე დღეს.

მაგრამ იმ უცხოელ მეთვალყურეებს, რომლებიც წითელ მოედანზე ფიზიკურად პარადზე, ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის პარადზე მოვიდნენ, გაკვირვებით უნდა ენახათ ახალგაზრდა ძალების უჩვეულო აყვავება, ენახათ სილამაზის, ჯანმრთელობისა და მხიარულების დღესასწაული, რომელიც ყოველ სხვა ადგილს შეუძლებელია.

მოსკოველები ყოველ წელიწადს მოდიან წითელ მოედანზე სახალხო დღესასწაულის დღეებში.

...აი ზამთარში, შუადღისას, როცა ყველაფერს თოვლის ფიფქი აელვარებს და მაგარი ყინვა სუდრავს ტროტუარის ფილაქნებს, როცა შაკლურჯად მოჩანან საფლავების ნაძვები და ლარიქსები კრემლის კედლებთან, რომლებშიც დატანებულია ურნები კომუნიზმისათვის სახელოვან მებრძოლთა ფერფლით, მავზოლეუმს ჩაუვლიან კრემლში მიმავალი უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

საბჭოთა ქვეყნის ეს წმვენება კრემლში იმისათვის შეიკრიბება, რომ აკეთოს დიდი სახელმწიფოებრივი საქმე საბჭოთა სახელმწიფოს, მისი ინდუსტრიის, მისი სოფლის მეურნეობის, მისი კულტურის აღორძინებისა და წინსვლისა.

...ზაფხულის საღამოს ხავერდოვან ბინდბუნდში ენთება კრემლის ალისფერი ვარსკვლავები. კოშკები თითქოს უფრო მსუბუქი გახდნენ, კიდევ უფრო ნატიფი მოჩანს მათი ნაკვთები, ნაკლები სინათლე გამოკრთის მათს ქონგურებსა და ფანჯრებში. მწვანე ბალახი ოდნავ გამუქდა მდინარისაკენ დაქანებულ ფერდობზე. საღამოს ბინდ-ბუნდში ცისარტყელასავით აციაგდა ძველი ტაძრის გუმბათი.

დრო შეუჩერებლად შიდის...

დიდება მოსკოვს — დიადი, უკვდავი დიდება!

ნიკოლოზ ტიხონოვი.

ოდესა

თვითმფრინავი ოდესას უახლოვდება. მარცხნივ გამოჩნდა ქალაქის პანორამა: მრავალი ქარხნის მბოლავი მილები, კოლოფებივით სახლები, ისარივით პირდაპირი ქუჩები. ამ ქალაქთან 1941 წელს ჩაყარა ძვლები 250 ათასმა გერმანელმა და რუმინელმა ფაშისტმა. მრავალი იერიში მოგერიებულ იქნა. ოდესის დამცველებს გადაწყვეტილი ჰქონდათ დახოცილიყვნენ, მაგრამ არ გაეშვათ მტერი. ქალაქი დატოვებულ იქნა უმაღლესი სარდლობის ბრძანებით.

ოდესა დიდი რევოლუციური ტრადიციების ქალაქია. ორმოცდაათი წლის წინათ მუშებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი და ბარიკადები აეშენეს. ოდესის რეიდზე ააფრიალა წითელი ალამი განთქმულმა ჯავშნოსანმა „პოტიომკინმა“. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი 1905 წელს ოდესელმა ბოლშევიკებმა აირჩიეს პარტიის III ყრილობის დელეგატად.

თვითმფრინავი დაეშვა. შეწყდა მოტორების გუგუნი. ჩვენ ოდესის მიწაზე ვართ. აქ ათეულ ათასობით ადამიანი შრომობს ზღვაზე. ზოგი მრავალ თვეობით მოწყვეტილია მშობლიურ მიწას, ზოგი ნაპირზე უწევს მომსახურებას ზღვაში მიმავალთ!

ოდესის ნავსადგურში იწყება საზღვაო გზები. გემები ოდესიდან მიდიან ინდოეთსა და არგენტინაში, იტალიასა და ბირმაში, საფრანგეთსა და პოლონეთში. მრავალ ქვეყანაში მიაქვთ ჩვენს გემებს მშობლიური ვიმპელი. ოდესის ნავმისადგომებთან ბევრი ქვეყნის ხომალდებს შეხვდებით.

დღევანდელმა ოდესამ ძალიან გაუსწრო წინ იმ ოდესას, რომელიც ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის ახალგაზრდობაში იყო. ეს არის ინდუსტრიულ-სანავსადგურო ცენტრი, უმაღლესი სასწავლებლების, ჯანმრთელობის კურორტების, მოწინავე სოციალისტური კულტურის ქალაქი. ქალაქის წარმოების მოწინავე დარგი გახდა მანქანათმშენებლობა. ოდესის ქარხნები აწარმოებენ პირველხარისხოვან უნიკალურ ჩარხებს, ყოველგვარ წნეხებს, ამწეებსა და სხვა მოწყობილობას. ოდესის ქარხნების ჯგუფი სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის მუშაობს.

მრეწველობა წინ უსწრებს ხუთწლიანი გეგმით დადგენილ დავალებებს. 1954 წელს 140 საწარმომ ვადამდე შეასრულა საწარმოო გეგმები. სპარეულმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული აღმოჩნდა 31 საწარმო. ისინი შეტანილი არიან საოლქო სპატიო დაფაზე.

იზრდება და ფართოვდება ქარხნები, მრავლდება მუშათა კლასი — მშრომელი ქალაქის, გმირი ქალაქის ხერხემალი. იზრდება და მშვენდება თვით ქალაქი, რომელიც ოკუპაციის დღეებში ფაშისტებმა დაანგრიეს. დანგრეული შენობების ნაცვლად აღიმართა ახალი, უფრო ლამაზი, უფრო კეთილმოწყობილი შენობები. უკანასკნელ ორ წელიწადში ქალაქის კომუნალურ და საბინაო მეურნეობაზე დაბანდებულია 190 მილიონი მანეთი. ძირეულად გაუმჯობესდა კავშირი ქალაქის საკურორტო რაიონებთან. ავტობარკი შეეცვალა ახალი ტროლეიბუსებით, ავტობუსებით. ქალაქში მუშაობს 150 ტაქსი.

ოდესა უმაღლესი სასწავლებლების ქალაქია. 20 სტაციონარულ და დაუსწრებელ ინსტიტუტში ცოდნას ეუფლება 30.000 სტუდენტი.

ოდესაში მუშაობს ბევრი გამოჩენილი მეცნიერი. საბჭოთა მეცნიერის ვლადიმერ პეტრეს-ძე ფილატოვის სახელი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ქსოვილის თრაპეის მის მეთოდს ფართოდ იყენებენ სხვადასხვა ქვეყანაში.

ოდესა სამართლიანად ითვლება ჯანმრთელობის დაცვის საკავშირო კერად. ქალაქის ქუჩებში გაიგონებთ ლაპარაკს საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე. წლის განმავლობაში 100 ათასამდე მშრომელი მკურნალობს და ისვენებს 68 სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლში. მეტი წილი კურორტები შავი ზღვის სანაპიროს და სამკურნალო ტალახის შემცველი ლიმანების თვალწარმტაც ადგილებშია.

* * *

წითელი ტილოებით და ტრანსპარანტებით მოფრთავთ ქალაქი. ყველა მხიარულობს. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე საბჭოთა ხალხის ზეიმის დიადი დღეა. დღეს ოდესელები იხსენებენ იმ მძიმე დროს, როცა მტერი ორ თვეზე მეტ ხანს იდგა ქალაქის გალავანთან და ცდილობდა გაერღვია მის დამცველთა შეურყეველი კედელი. მძიმე დრო იყო. მით უფრო საამოა გამარჯვების სიხარული, მით უფრო მტკიცეა ჩვენი ძალის შეურყეველობის რწმენა, მით უფრო დიდია ნათელი მომავლისათვის, კომუნიზმისათვის შრომითი ენთუზიაზმი.

ბ. უსტ-ზოლუშსკი.

სევასტოპოლი

დიდების ქალაქი — ისე უწოდა ხალხმა სევასტოპოლს, ქალაქს, რომელმაც ორი ისტორიული დაცვა გადაიტანა, ორჯერ დაინგრა და ორჯერვე აღსდგა ნანგრევებისა და ფერფლისაგან, აღსდგა უფრო დიდებული და დიადი.

დიდი სამამულო ომის დღეებში სევასტოპოლელთა თავგანწირვამ, მათს სიმტკიცესა და გამძლეობას მტრებიც კი განცვიფრებაში მოჰყავდა. 250 დღის განმავლობაში უმკლავდებოდნენ გრანიტის კედლად აღმართული გმირი ქალაქის დამცველები ფაშისტური ურდოების გააფთრებულ ეერიშებს, მათ რჩეულ დივიზიებს, მტრის თვითმფრინავთა განუწყვეტელ თავდასხმებს.

ამ უმაგალითო ბრძოლებში სევასტოპოლის მამაცმა დამცველებმა 300 ათასამდე ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურეს, მტრის ფიზიკური გაანადგურებისა და ტყვეობაში ჩაგდების ნებისმიერ ფორმას ამჯობინებ. ეს ... ...

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ჩერვენკოვის დეპეშა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისადმი

სოფია, 7 მაისი. (საკდესი). 6 მაისს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვილკო ჩერვენკოვმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის სახელზე გაგზავნა შემდეგი დეპეშა:

ბულგარელი ხალხი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა სიხარულით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას შეიყვანოს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებსაც საბჭოთა კავშირი დახმარებას გაუწევს და ხელს შეუწყობს განავითაროონ მეცნიერულ-ექსპერიმენტული მუშაობა მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში, და უახლოეს დროში დაიწყოს მოლაპარაკება შესაბამისი შეთანხმების დადების შესახებ.

საბჭოთა კავშირის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის. იგი ახალი მკაფიო გამოვლინებაა მშვიდობისმოყვარული საბჭოთა პოლიტიკისა და უანგარო დახმარებისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ჩვენს რესპუბლიკას სოციალიზმის მშენებლობაში.

დღემდე გაწეული გულუხვი ძმური დახმარების მეოხებით ბულგარელმა ხალხმა ათი წლის თავისუფალი ცხოვრების მანძილზე ჩვენი პირობებისათვის დიდ წარმატებებს მიაღწია ბულგარეთის ეკონომიური და კულტურული განვითარების დარგში. ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან, რომელიც იმპერიალისტური სახელმწიფოების სათარეშო იყო, იგი გადაიქცა ინდუსტრიულ-სამიწათმოქმედო რესპუბლიკად და სულ უფრო ინდუსტრიული ხდება.

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება გაგვიწიოს დახმარება მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებაში ახალ ძლავრ ბიძგს მისცემს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარებას, ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, ჩვენი მშრომელი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ბულგარელი ხალხის სახელით ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა დიდ და გულწრფელ მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირის ხალხებსა და მთავრობას. უანგარო ძმური დახმარების ამ ახალი აქტით აღფრთოვანებული ბულგარელი ხალხი კიდევ უფრო მეტი ენერგიით და სიმტკიცით განაგრძობს ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში, მთელი ძალღონით იბრძოლებს ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, სულ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირის ხალხებთან თავის მეგობრობას — ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და აყვავების ყველაზე საიმედო გარანტიას.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვილკო ჩერვენკოვი.

ვილჰელმ პიკმა მიიღო საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

ბერლინი, 6 მაისი. (საკდესი). გერმანიის განთავისუფლების მე-10 წლისთავის დღესასწაულზე ბერლინს ჩამოსვლისას საბჭოთა მთავრობის დელეგაციის შეთაური, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. გ. პერვუხინი და დელეგაციის წევრები — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი დღეს მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. პიკმა.

მიღებას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ულბრიხტი.

კომუნიკე
ოთხი სახელმწიფოს ელჩთა თათბირის მუშაობის შესახებ ავსტრიის წარმომადგენელთა მონაწილეობით

ვენა, 6 მაისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა შემდეგი კომუნიკე:

გასული კვირის მანძილზე სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, შეერთებული სამეფოსა და საფრანგეთის ელჩისა თათბირმა ავსტრიის წარმომადგენელთა მონაწილეობით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია თავის მუშაობაში ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების მოსამზადებლად.

გამოთქვამენ იმედს, რომ თათბირის მუშაობა მალე დამთავრდება.

შემდეგი სხდომა გაიმართება ორშაბათს, 1955 წლის 9 მაისს.

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა თათბირის საკითხში

ვაშინგტონი, 6 მაისი. (საკდესი). გუშინ სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრის საკითხში უცვლელია. იმ კითხვის პასუხად, რომ ძალაშია თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია, რომელიც იმით გამოიხატება, რომ სახელმწიფოთა მეთაურების თათბირამდე უნდა გაიმართოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა უაიტმა განაცხადა: „რამდენადაც ვიცი, ჯერ კიდევ ძალაშია“. უაიტმა თქვა, რომ „არავითარი ცვლილება არ მოხდარა“ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციაში ყველაზე მაღალ დონეზე შეხვედრის საკითხში.

გერმანელ პატრიოტთა მადლობა
პროფესორ კორენსის წერილი სსრ კავშირის ელჩის ბ. მ. პუშკინისადმი

ბერლინი, 7 მაისი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო იუწყება:

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა კორენსმა ფაშიზმისგან გერმანიის განთავისუფლების მე-10 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის ელჩს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„ჰიტლერიზმის ბარბაროსობისაგან გერმანიის განთავისუფლების მე-10 წლისთავზე, საბჭოთა ხალხის არმიის სახელოვანი გამარჯვების მე-10 წლისთავზე სიხარულისა და მადლობის უდიდესი გრძნობით გითვლით მოლოცვას, ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს და ამ ფრონტში დარაზმული მილიონობით გერმანელი პატრიოტის სახელით.

ჰიტლერული ვერმახტის მთავარი სარდლობის უსიტყვო კაპიტულაციის შემდეგ განვლილმა 10 წელმა დაადასტურა ი. ბ. სტალინის იმ სიტყვების სისწორე, რომ საბჭოთა ხალხის სამართლიანი სიძულვილი მიმართული იყო არა გერმანელი ერის წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჰიტლერელ ბარბაროსთა წინააღმდეგ. ამ წლებში საბჭოთა ხალხმა თავი გამოიჩინა როგორც ჩვენი გერმანელი ხალხის ყველაზე ერთგულმა და უანგარო მეგობარმა და როგორც მისი სასიცოცხლო ინტერესების ყველაზე საიმედო წარმომადგენელმა და დამცველმა.

1945 წლის 8 მაისის გრანდიოზული გამარჯვების შემდეგ გერმანიისათვის განვითარების ახალი ერა დაიწყო. საბჭოთა არმიის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ გერმანულ მიწაზე ეროვნული განვითარების უდიდესი შესაძლებლობა შეუქმნა ჩვენს განთავისუფლებულ ხალხს. ამ დროიდან გერმანიას შესაძლებლობა ჰქონდა ეკლო მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის გზით. თუ ამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ეროვნული განვითარების ეს შესაძლებლობა ვერ იქნა გამოყენებული მთელ გერმანიაში, რადგან დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებსაც მხარს უჭერენ ანტიეროვნული და მოღალატური ძალები, ახორციელებდნენ დასავლეთ გერმანიაში გათიშვისა და გერმანული მილიტარიზმის აღორძინების პოლიტიკას, გერმანიის ერთ ნაწილში — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — შეიქმნა მშვიდობისა და მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის გაერთიანებისათვის ბრძოლის ბასტიონი. ამ ისტორიული ფაქტის მნიშვნელობა ის არის, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა მილიტარიზმისა და ფაშიზმის ანტიხალხურ და კაცობრიობისადმი მტრულ ძალებს უბრძოს იმ გზას, რომ დაიმონონ მთელი გერმანია და გადააქცინ მთელი გერმანიის სახელმწიფო ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ აგრესიის ბაზად.

მშვიდობისმოყვარე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოა გერმანიის ისტორიაში. მისი მაგალითი აღფრთოვანებს დასავლეთ გერმანიის მშრომელებს იმისათვის, რომ შემდგომ გაძლიერონ და უკეთ აწარმოონ თავიანთი პატრიოტული ბრძოლა გერმანელი ხალხის სამართლიანი ეროვნული საქმის გამარჯვებისათვის.

და ახლა, როცა ამერიკელების მორჩილი ბონის მთავრობა აპირებს განახორციელოს პარიზის შეთანხმებანი, მილიონობით გერმანელი პატრიოტი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მზიდროდ დაირაზმა, რათა ერთობლივად და გადაჭრით უარყონ ამერიკული და დასავლეთგერმანელი იმპერიალისტების სამხედრო გეგმები, დაიცვან თავიანთი მუშურ-გლეხური ხელისუფლება, დაიცვან მთელი თავიანთი წარმატებანი მშენებლობაში და თავიანთი დემოკრატიული მიღწევები. ამავე დროს ისინი იბრძვიან ეშმარიტი და ნამდვილი მეგობრობისათვის საბჭოთა კავშირთან, დარწმუნებული არიან რა, რომ ეს მეგობრობა ჩვენი ხალხის ახალი, ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრების წინაპირობაა“.

„დიდი მაგალითი, რომელიც საბჭოთა ხალხმა მოგვცა გერმანული იმპერიალიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, — წერს დასასრულ პროფესორი „კორენსი, — სტიმული იქნება მილიონობით პატრიოტისათვის გერმანიის ყველა ნაწილში და დაეხმარება მათ გააუქმონ პარიზის შეთანხმებანი და მოუპოვონ გერმანელ ხალხს ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრება ერთიან, დემოკრატიულ, დამოუკიდებელ და მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფოში.

გაუმარჯოს გერმანელი ხალხის და სახელოვანი საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევ მეგობრობას!

სალამი და მადლობა გმირ საბჭოთა ჯარისკაცებს — ჩვენს განმათავისუფლებლებს ფაშისტური მონობისა და ბარბაროსობისაგან!“.

დარბაზობა საბჭოთა კავშირის ირანის საელჩოში

თეირანი, 7 მაისი. (საკდესი). 5 მაისს სსრ კავშირის ელჩმა ირანში ა. ი. ლავრენტიევმა დარბაზობა გამართა ირანთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმება სასაზღვრო და ფინანსური საკითხების მოწესრიგების შესახებ. დარბაზობაზე იყვნენ პრემიერ-მინისტრის მოვალეობის ამსრულებელი და საგარეო საქმეთა მინისტრი ენთეზამი, მინისტრები: ფინანსთა — ამინი, შინაგან საქმეთა — აალამი, სამხედრო მინისტრი — ჰედაიათი, ეროვნული ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის ამსრულებელი — ქაშანი, შრომის მინისტრი — ნასრი, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი — აშრაგი, ჯანმრთელობის დაცვისა — სალეჰი, განათლებისა — მეჰრანი, მეჯლისის თავმჯდომარე — ჰექმათი, სენატის თავმჯდომარე ტაგი-ზადე, მეჯლისის დეპუტატები და სენატორები, ირანის არმიის გენერალური შტაბის უფროსი ბათმანკლიჩი, ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის უფროსი შაჰინე და სხვა პირები.

საბჭოთა კავშირ-ირანის სავაჭრო ურთიერთობისათვის

თეირანი, 5 მაისი. (საკდესი). ირანში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობასა და ირანის ნაციონალური ეკონომიკის სამინისტროს შორის მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა ირანში ბაკულინმა და ირანის ნაციონალური ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ქაშანიმ 1955 წლის 4 მაისს თეირანში გაცვალეს წერილები სსრ კავშირიდან ირანში და ირანიდან სსრ კავშირში საქონლის მიწოდების შესახებ მორიგი ერთი წლის პერიოდისთვის.

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა კავშირი ირანს მიაწვდის ბამბეულს, შავი ლითონების ნაგლინს, ცემენტს, სხვადასხვა მოწყობილობას, ავტომობილებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ქიმიურ საქონელს, ხეტყის მასალასა და სხვა საქონელს.

ირანი საბჭოთა კავშირს მიაწვდის ბრინჯს, ბამბას, მატყლს, ტყავნეღლეულს, თევზპროდუქტებს, ხმელ ხილს, ზეთისხილის თესლს, მაღნეულსა და სხვა საქონელს.

საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ მიღწეული შეთანხმება ითვალისწინებს სსრ კავშირისა და ირანს შორის საქონელბრუნვის შემდგომ გადიდებას.

წყალტუბო. ახალი დასასვენებელი სახლი წყალტუბოში. ფოტო შ. გოქაძისა.

გამარჯვების დღის აღსანიშნავად

რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-10 წლისთავს. ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში, კლუბებსა და კულტურის სახლებში მოეწყო ლექციები, მოხსენებები, საუბრები, გამოფენები.

გუშინ სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშენაკეთებელი ქარხნის საქვაბე საამქროში სამამულო ომის მონაწილემ, ამჟამად მექვაბემ მ. სუხიაშვილმა უამბო ამხანაგებს ბრძოლის ეპიზოდები. დიდ სამამულო ომში საბჭოთა არმიის გამარჯვების შესახებ მუშებს ესაუბრნენ აგიტატორები ს. ბაბაევი, დ. ლეკვა, მ. მელაძე და სხვ. გამარჯვების დღესთან დაკავშირებით საუბარი მოეწყო 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხნებში და დედაქალაქის სხვა ქარხნებსა და ფაბრიკებში.

გუშინ გაიხსნა გამოფენა საქართველოს ჯ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში. გამოფენის ორ სტენდზე ექსპონირებულია დიდი სამამულო ომის ამსახველი მასალები — ლიტერატურა, ფოტოსურათები, მხატვრული სურათები. გამოფენა მოეწყო აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, ჯაფარიძის სახელობის სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში და ქალაქის სხვა ბიბლიოთეკებსა და კლუბებში.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 9 მაისს ვოროშილოვის სახელობის კლუბში და ვაჟრობის მუშაკთა კულტურის სახლში აწყობს საჯარო ლექციებს. ლექციის შემდეგ ვაჟრობის მუშაკთა კულტურის სახლში მოეწყობა კონცერტი თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით.

გამარჯვების დღის აღსანიშნავად დღეს თფილისსა სახლში გაიმართება დიდი საღამო. აქვე მოწყობილია გამოფენა.

საკავშირო ჩემპიონატის ზონალური შეჯიბრება ჭადრაკში

5 მაისს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიხსნა საბჭოთა კავშირის XXIII პირველობის გათამაშების ზონალური შეჯიბრება ჭადრაკში. ერთმანეთს პირველობას ეცილება 18 მოჭადრაკე.

საქართველოდან და აზერბაიჯანიდან ჩემპიონატში მონაწილეობას იღებს ექვს-ექვსი მოჭადრაკე, სომხეთიდან — 4, მოლდავეთიდან — 2.

პირველი ტური

6 მაისს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა პირველი ტური. საერთაშორისო ოსტატის ვ. გოგლიძისა და ოსტატ ა. ებრალიძის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე საერთაშორისო ოსტატი ჰ. კასპარიანი და ოსტატობის კანდიდატი ბ. გურგენიძე, ვ. გოლდინი და ე. სარდაროვი, ს. ხალილეიევი — ე. თათეოსიანი. საქართველოს ჩემპიონმა ოსტატმა მ. შიშოვმა მოუგო მ. რეგენბოგენს, ვ. ტარასოვმა — თ. გიორგაძეს, ლ. კალაშიანმა — ვ. ქარსელაძეს, ვ. ტოპოროვერმა — ლ. ლისტენგარტენს. ა. სარიჩევ — რ. ამირხანოვის პარტია გადაიდო.

მეორე ტური

გუშინ გაიმართა ზონალური შეჯიბრების მეორე ტური. ყველაზე ადრე დამთავრდა ვ. ქარსელაძისა და ოსტატ მ. შიშოვის პარტია. მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ლ. ლისტენგარტენ—ა. ებრალიძის, მ. რეგენბოგენ—ს. ხალილეიევის და ე. სარდაროვ—ა. სარიჩევის პარტიები. საერთაშორისო ოსტატმა ვ. გოგლიძემ მოუგო ვ. ტარასოვს, ბ. გურგენიძემ — თ. გიორგაძეს, რ. ამირხანოვმა — ლ. კალაშიანს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

საბჭოთა არმიის მიერ ავსტრიის განთავისუფლების მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება 9 მაისს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მართავს საბჭოთა არმიის მიერ ავსტრიის განთავისუფლების მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს.

მოხსენებას „ავსტრიის განთავისუფლების მე-10 წლისთავი“ გააკეთებს პროფესორი ა. ბარამიძე.

დასასრულ გაიმართება კონცერტი თბილისის ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. პანტელეიმონ კონდრატის-ძე პონომარენკო სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექცია აცხადებს, რომ გამოფენა „საბჭოთა კავშირის 1941-1945 წლების სამამულო ომი“ 9 მაისს მზახველთათვის ღია იქნება დილის 12-დან საღამოს 9 საათამდე.

ჯგუფური ექსკურსიებისათვის წინასწარი ჩაწერა იწარმოებს მუზეუმის ფილიალის საექსკურსიო ბიუროში.

რედაქტორი ნ. ჯაფი.

ახალი ჩეხოსლოვაკიის ათი წელი

1955 წლის 9 მაისს სრულდება ათი წელი მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ ჩეხოსლოვაკია გაათავისუფლა გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან. იმ ფაქტს, რომ ჩეხოსლოვაკიელ ხალხს გამარჯვება მოუტანა ზომიერ საბჭოთა ხალხის ძლევამოსილმა არმიამ, სოციალისტური სახელმწიფოს არმიამ, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. გამოიყენა რა საბჭოთა არმიის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, ჩეხოსლოვაკიის მშრომელმა ხალხმა შშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამუდამოდ მოუღო ბოლო საპიტალისტურ წარსულს და საკუთარ ხელში აიღო ქვეყნის მართვა.

განვლილი ათი წელი იყო ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასის გამარჯვების გზის წლები, მუშათა კლასისა, რომელმაც მშრომელ გლეხობასთან მტკიცე კავშირით, საბჭოთა კავშირის ძმურ მეგობრობაზე და უანგარო დახმარებაზე დაყრდნობით მოახერხა ძლევამოსილად გადაეჭრა თავის სასარგებლოდ სახელმწიფოში ხელისუფლების საკითხი. შექმნა რა სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო, ჩვენი ხალხი წარმატებით ახორციელებს სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობისა და ეროვნული კულტურის განვითარების დიდ საქმეს.

რევოლუციური გარდაქმნები ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში ხორციელდება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, კომუნისტური პარტიისა, რომელიც თავის შემოქმედებითს მუშაობაში ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებით და ფართოდ იყენებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მსოფლიო-ისტორიულ გამოცდილებას.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს ძალა უპირველეს ყოვლისა მისი ხალხის ერთიანობაშია. ამ ერთიანობის პოლიტიკური საფუძველია მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხების ურღვევი კავშირი. მუშებისა და გლეხების სიმტკიცისა და ერთიანობის მეოხებით 1948 წლის თებერვალში აღკვეთილ იქნა რეაქციის ცდა მოეხდინა კონტრრევოლუციური გადატრიალება ჩეხოსლოვაკიაში. მუშები და გლეხები მჭიდრო კავშირით წარმატებით წყვეტენ სოციალისტური მშენებლობის დიდ და რთულ ამოცანებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლების ამოცანებს.

გასული ათი წლის მანძილზე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია სამრეწველო წარმოების ზრდაში. კომუნისტური პარტია და სახალხო მთავრობა თავიანთ ღონისძიებებს ახორციელებენ მძიმე მრეწველობის შემდგომ განმტკიცებას, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების მტკიცე საფუძველია. სამრეწველო წარმოების დონე 1954 წელს 1937 წელთან შედარებით გაიზარდა 128 პროცენტით. მათ შორის მძიმე მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 142 პროცენტით. 1937 წელთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 231 პროცენტით, ქვანახშირის წარმოება — 30 პროცენტით, მურა ქვანახშირისა — 106 პროცენტით, კოქსისა — 92 პროცენტით, თუჯის წარმოება — 67 პროცენტით.

სლოვაკიის სამრეწველო წარმოება 1937 წელთან შედარებით გაიზარდა 368 პროცენტით, აქედან მძიმე მრეწველობის პროდუქცია — 600 პროცენტით. სახალხო ხელისუფლების წლებში სამრეწველო წარმოების სწრაფმა ზრდამ გამოიწვია ის, რომ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა მრეწველობის მხრივ მსოფლიოს ერთ-ერთ განვითარებულ ქვეყნად იქცა.

სოციალისტურ სექტორს ახლა გაბატონებული პოზიციები უჭირავს ქვეყნის ეკონომიკაში.

დიდი ყურადღება ექცევა მანქანათმშენებლობის განვითარებას. პირველი ხუთწლედის წლებში (1949-1953 წლები) ჩვენს ქვეყანაში აგებულ იქნა ბევრი ახალი მანქანათმშენებელი ქარხანა და მძიმე ინდუსტრიის სხვა საწარმოები. მძიმე მრეწველობასთან ერთად და მისი შემდგომი განვითარების საფუძველზე წარმატებით ვითარდება აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობა, რომელიც სულ უფრო მეტი რაოდენობით იძლევა სახალხო მოხმარების საქონელს.

კომუნისტური პარტია და სახალხო მთავრობა განუხრელად ახორციელებენ მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების პოლიტიკას. 1953 წელს განხორციელდა ფულის რეფორმა და 1953 წლის მაისიდან ოთხჯერ მოხდა ფასების შემცირება, ამაღლდა მუშებისა და მშრომელი ინტელიგენციის რეალური ხელფასი. ხარჯები განათლებაზე, კულტურაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე და სოციალურ ღონისძიებებზე 1954 წელს 1953 წელთან შედარებით გაიზარდა 11,4 პროცენტით.

სამრეწველო პროდუქციის შემდგომი ზრდისა და ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლების მიზნით ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ ამოცანად დაისახა შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით ამაღლება, თვითღირებულების შემცირება და პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება.

განვლილი ათი წლის მანძილზე ჩეხოსლოვაკიის ხალხმა ბევრ წარმატებას მიაღწია სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნაში. დარწმუნდა რა გამოცდილებით შრომის კოლექტიური ფორმების უპირატესობაში, გლეხობა ნებაყოფლობით ერთიანდება ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. შექმნილია სახელმწიფო სამიწათმოქმედო მეურნეობანი. მოწყობილია 256 მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობამ, რომელიც 1954 წელს შედგა, საერთო-სახელმწიფოებრივ ამოცანად დასახა უახლესი ორი-სამი წლის განმავლობაში არსებითად ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ჯერ კიდევ 1954 წელს კაპიტალდაბანდებათა მოცულობა სოფლის მეურნეობაში 1953 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გაიზარდა. ტრაქტორების რაოდენობა ამ პერიოდში გაიზარდა 16 პროცენტით, მათ შორის მუხლუხა ტრაქტორებისა — 38 პროცენტით, მარცვლეულის კომბაინებისა — 62 პროცენტით, სათესი მანქანებისა — 55 პროცენტით.

ჩეხოსლოვაკიის ხალხს სავსებით შეგნებული აქვს, რომ ყველა მისი წარმატება საბჭოთა კავშირის ხალხებთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებთან მტკიცე და ურღვევი მეგობრობის შედეგია. საბჭოთა კავშირი ჩვენ მუდმივ და უანგარო დახმარებას გვიწევს. ჩეხმა და სლოვაკმა ხალხებმა იციან, რომ მტკიცე მეგობრობა და ერთგული კავშირი საბჭოთა კავშირთან ერთადერთი სწორი და საიმედო გზაა, რათა სამუდამოდ უზრუნველყოფილ იქნას მათი სამშობლოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, განუხრელი ეკონომიური და კულტურული განვითარება.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელები ერთსულოვნად უპერურ მზარს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეები ცდილობენ კვლავ აღადგინონ გერმანიის ვერმახტი, სწორედ ის ვერმახტი, რომელმაც ჰიტლერის ბრძანებით 1939 წლის მარტში ფეხქვეშ გათელა ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობა.

მაგრამ ახლა სულ სხვა დროა. ახლა ჩეხოსლოვაკიის მშრომელი ხალხი განაგებს. იგი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის უძლეველი ბანაკის მტკიცე რგოლს წარმოადგენს და მას მუქარისა არ ეშინია.

ახალი ჩეხოსლოვაკიის მეათე წლისთავი ამავე დროს გამარჯვების დღის მეათე წლისთავია. ეს ისტორიული დღე სამუდამოდ იქნება გერმანიის სამხედრო მანქანისა და მსოფლიოში გაბატონების ჰიტლერული გეჟური იდეების დამსხვრევის სიმბოლო, რეაქციისა და სიბნელის ძალებზე სოციალური პროგრესის გამარჯვების ღირსშესანიშნავი დღე.

ჩეხი და სლოვაკი ხალხების გულწრფელი სურვილია იცხოვრონ მშვიდობიანად ყველა ქვეყანასთან, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი სისტემებისა. ჩეხოსლოვაკიის ხალხი მზად არის დამყაროს და განავითაროს ეკონომიური, სავაჭრო და კულტურული კავშირი კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხების მზარდამზარ კეთილგანცდა მიაღწიოს ევროპის სადავო საკითხებისა და სხვა საკითხების გადაწყვეტას მოლაპარაკების გზით. ჩვენი ხალხი არ ზოგავს ძალებს, რათა მიაღწიოს მტკიცე მშვიდობასა და ხალხთა უშიშროებას. ჩეხოსლოვაკიის ხალხი ერთი წუთითაც არ შეასუსტებს თავის სიფხიზლეს აგრესიის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

„აშენებ სამშობლოს — განამტკიცებ მშვიდობას!“ — ეს სიტყვები ჩეხოსლოვაკიის ყველა მშრომელის საბრძოლო ლოზუნგი გახდა. ამ ლოზუნგიდან გამომდინარეობს მშვიდობისათვის ჩეხოსლოვაკიის მოძრაობის დიდი ძალა და ჩეხი და სლოვაკი ხალხების მტკიცე გადწყვეტილება — კვლავაც ერთად იარონ სოციალიზმის მშენებლობის და მთელი მსოფლიოს სახელმწიფოებს შორის მშვიდობის განმტკიცების ძლევამოსილი გზით.

იაროსლავ ვოშაგლიკი,
ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში.

ᲓᲦᲔᲡ
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ბახჩისარაის შადრევანი (დილას), დაისი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ცოცხალი პორტრეტი (დილას), რაიკომის მდივანი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — პორტ-არტური (დილას), გვარის დაუსახელებლად (საღამოს), **სომხური დრამის** — მშობლიური ქვეყანა (დილას), აღასი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — დბილისის ცის ქვეშ (დილას), პერიკოლა (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — აღარ გაიმეორებს (აბონემენტი № 28, 12 ს.), ბაშიაჩუკი (აბონემენტი № 21, 5 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — თალგამი (11 ს. და 2 ს.), თოჯინების ქართული — ნანა ტყეში (12 ს. და 4 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — მ. ლომონოსოვი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი — ანტუანი და ანტუანეტა, **კოლხიდა, კიროვის სახელობის პარკი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ვეფხვების მომთვინიერებელი, **კომკავშირელი** — ანა კისერზე, **კოლხიდა** (საბაფხულო) — განგა, **26 კომისრის სახელობის** — მოედინება მღვრიე წყლები (საზამთრო), მსოფლიოს ჩემპიონი (საბაფხულო), **დიდუბე** — ავარა (I და II სერია, საზამთრო), **ახალი მხატვრული ფილმი** (საბაფხულო), **კოლმეურნე** — ფანფან-ტულპანი, **ოფიცერთა სახლი** — ვარსკვლავი, **გორკის სახელობის კლუბი** — მასკარადი, **კომუნარების ბაღი** — საყვარელი მეგობარი.

მოქალაქე **ბეჟან ალექსანდრეს-ძე ოშაყმაშვილმა**, მცხოვრებმა სოხუმის ქ. № 8, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნელი ეზიკის ასულ მუმლაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტ